



აღმოსავლეთის კარტინორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 თებერვალი, 2016 წელი

დრო: 11:30 – 13:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
2. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
3. კონსტანტინე ბარჯაძე - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
4. ნუგზარ სულამანიძე - კავშირი „ეკოტექი“
5. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
6. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
7. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი

მოწვეული სტუმარი: ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი, დირექტორი

განსახილველი საკითხები:

1. სამოქმედო გეგმის განხილვა;
2. მდგრადი განვითარების მიზნების „დღის წერივი 2030“ განხორციელების მონიტორინგი (შეხვედრების დაგეგმვა ეკონომიკის, ენერჯეტიკის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებთან);
3. საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მონიტორინგი.
4. ტყის კანონის შეფასება და პოზიციების დაფიქსირება.
5. მესამე სამუშაო ჯგუფის წევრთა მონაწილეობა მინისტრთა მე-8 კონფერენციაში „გარემო ევროპისათვის“ ბათუმი 8-10 ივნისი 2016 (The 8th Ministerial conference “Environment for Europe”, 8-10 June, 2016, Batumi, Georgia)
6. აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგრანტიგისათვის წარდგენილი პროექტის გაცნობა.
7. პლატფორმის საერთო კრებისათვის მე-3 ჯგუფის კოორდინატორების კანდიდატურების წარდგენა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა და დამსწრეებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად, ჯგუფმა განიხილა სამოქმედო გეგმა და დაამტკიცა გეგმის საბოლოო დოკუმენტი.

შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო მდგრადი განვითარების მიზნების „დღის წერივი 2030“ განხორციელების მონიტორინგის შესახებ დისკუსიას. მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა მანანა დევიძემ წარადგინა ინიციატივა დაიგეგმოს შეხვედრები ეკონომიკის, ენერჯეტიკის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებთან.

ქალბატონმა მანანამ დამსწრეებს ასევე გააცნო მეორე სამუშაო ჯგუფის წინადადება შეიქმნას ჯგუფთაშორისი ქვეჯგუფი შემდეგი დასახელებით: „მდგრადი განვითარება/მწვანე ეკონომიკის ქვეჯგუფი“.

შემდეგ ნაწილში, საქართველოს ენერჯეტიკის რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაციის წარმომადგენელმა, ბატონმა ანზორ დუნდუამ წარადგინა პრეზენტაცია საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავების შესახებ. ბატონმა ანზორმა ისაუბრა ენერჯეტიკის სექტორში არსებულ გამოწვევებზე და აქვე აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გააქტიურება.

საკითხთან დაკავშირებით, პლატფორმის თავმჯდომარემ, ბატონმა ლაშა ტულუშმა ხაზი გაუსვა მთავრობის მიერ მემორანდუმით აღებულ ვალდებულებას, სამინისტროების წარმომადგენლები შეხვდნენ პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და განიხილონ პლატფორმის მიერ ინიცირებული საკითხები. გარდა ამისა, პლატფორმის თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან დაგეგმილი თანამშრომლობის მეომრანდუმის შინაარსი და მოკლედ ისაუბრა იმ შესაძლებლობებზე, რასაც მემორანდუმი სთავაზობს პლატფორმის წევრებს. მან ასევე განიხილა საერთო კრების პროცედურული საკითხები და მადლობა გადაუხადა ჯგუფის წევრებს თანამშრომლობისთვის.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე, ჯგუფმა განიხილა კოორდინატორების დასახელების საკითხი. ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება უკვე მოქმედ ორივე კოორდინატორთან ერთად, საერთო კრებაზე დასახელდეს სხვა კანდიდატების ვინაობაც.

ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა მანანა დევიძემ ისაუბრა 2016 წლის 8-10 ივნისს ბათუმში დაგეგმილ მინისტერიალზე „გარემო ევროპისათვის“ და დამსწრეებს მოუწოდა მონაწილეობისკენ.

დროის სიმცირიდან გამომდინარე, ტყის კანონის შეფასება და პოზიციების დაფიქსირება გადაიდო შემდეგი კრებისთვის.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.